ABOUT HIV

აივ-ის მკურნალობა

თუ თვენ „აივ-პოზიტიური“ ხართ, ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენს ორგანიზმში ბინადრობს ვირუსი, რომელსაც აივ-ს უწოდებენ. ეს არ ნიშნავს, რომ თქვენ ხართ ავადმყოფი, რომ თქვენ გაქვთ შიდსი და არ ნიშნავს იმას, რომ თქვენ კვდებით.

თუ თქვენ აივი გაქვთ და არ მკურნალობთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ვირუსი ნელ-ნელა დააზიანებს თქვენს იმუნურ სისტემას, რომელიც თქვენს ორგანიზმს ინფექციებისგან იცავს.

არსებობს აივ-ის მედიკამენტოზური მკურნალობა. მისი მეშვეობით ხდება ვირუსის რეპროდუცირების შეჩერება და ამგვარად იმუნური სისტემის დაზიანების შეზღუდვა და თქვენი ჯანმრთელობის კარგი მდგომარეობის შენარჩუნება. ამ მედიკამენტების მეშვეობით მრავალ აივ-ინფიცირებულ ადამიანს შეიძლება ჰქონდეთ სიცოცხლის ჩვეულებრივი ხანგრძლივობა.

„შიდსი“ განსხვავდება აივ-ისგან. შიდსი შეიძლება განვითარდეს მაშინ, როდესაც აივ-ინფიცირებული დიდი ხნის განმავლობაში არ იტარებს მკურნალობას და მისი იმუნური სისტემა ძალიან დასუსტებულია. ეს ნიშნავს, რომ აივ-ინფიცირებული ადამიანი არის სერიოზული ინფექციების და დაავადებების განვითარების რისკის ქვეშ, რომელთაც ჯანსაღი იმუნური სისტემა შეებრძოლებოდა.

მედიკამენტების წყალობით ადამიანების ძალიან მცირე რაოდენობას უვითარდება შიდსი. თუ შიდსი მაინც განვითარდა, როგორც წესი, ხდება მდგომარეობის გაუმჯობესება.

აივი - აბრევიატურაა და ნიშნავს ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსს, ხოლო შიდსი - შეძენილ იმუნოდეფიციტის სინდრომს.

როგორ პროგრესირებს აივი

აივი საკმაოდ ნელი ტემპებით ზემოქმედებს იმუნურ სისტემაზე, ასე რომ არ არის აუცილებელი თქვენ თავი შეუძლოთ იგრძნოთ. შესაძლოა გქონდეთ გრიპის მაგვარი სიმპტომები, მოკლე პერიოდით, ინფიცირებიდან პირველი რამდენიმე კვირის განმავლობაში, ამას ასევე „სეროკონვერსიის დაავადებას“ უწოდებენ. ამის შემდეგ, მკურნალობის გარეშე, ადამიანები შესაძლოა თავს საკმაოდ კარგად გრძნოდნენ ორიდან თხუთმეტ წლამდე პერიოდის განმავლობაში. საშუალო მაჩვენებელია - შვიდი წელი.

მაგრამ ძალიან ცოტა ადამიანს თუ უდგენენ აივს დაინფიცირების თანავე. ხშირად ინტერვალი თვეების ან წლების მანძილზე გრძელდება.

თუ თქვენ აივი ტესტირებამდე მცირე მონაკვეთის განმავლობაში შეიძინეთ, შეიძლება რამდენიმე წლის განმავლობაში შეგინარჩუნდეთ ჯანმრთელობის კარგი მდგომარეობა და თქვენ ვერც იგრძნოთ მკურნალობის საჭიროება.

მეორე მხრივ, თუ თქვენ ტესტირებამდე დიდი ხნით ადრე დაინფიცირდით, შესაძლოა უკვე ავად იყოთ და თქვენმა ექიმმა მოგქცეთ მკურნალობის მყისიერი დაწყების რეკომენდაცია.

ავად ყოფნა, იმის აღმოჩენა, რომ აივ-ით ხართ დაინფიცირებული და მკურნალობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების საჭიროება - ეს ყველაფერი შეიძლება ერთდროულად მოხდეს.



თვალი ადევნეთ თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობას

www.pro-vich.info და www.about-HIV.info შემუშავება შესაძლებელი გახდა იანსენისგან (Janssen) მიღებული გულუხვი დახმარების წყალობით. დამფინანსებელს აღარ განუხორციელებია კონტროლი საიტების შინაარსზე. ამ საიტზე მოცემული ინფორმაცია გამიზნულია სამედიცინო მუშაკისგან მიღებული კონსულტაციის მხარდაჭერისათვის და არა მისი ჩანაცვლებისათვის. გაესაუბრეთ თქვენს ექიმს ან სამედიცინო გუნდის რომელიმე წევრს მოცემული ინფორმაციის თქვენს კონკრეტულ შემთხვევასთან მისადაგების მიზნით.
თანამშრომლობა: NAM aidsmap, European AIDS Treatment Group, Aids Action Europe, East Europe & Central Asia Union of PLWH and ITPCru-ს (The Treatment Preparedness Coalition) შორის.

მეტი ინფორმაციისათვს ეწვიეთ: www.about-hiv.info; www.pro-vich.info; www.aidsmap.com
UK Charity რეგისტრაციის ნომერი: 1011220

ABOUT HIV

აივ-ის მკურნალობა

ფიზიკური შესახედაობის მიხედვით არ შეიძლება დაასკვნა არის თუ არა ადამიანი აივ-ით დაინფიცირებული და ყოველთვის არც ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ შესაძლებელია დასკვნის გამოტანა.

სისხლის ტესტირება აჩვენებს რა ზემოქმედებას ახდენს აივი თქვენს ჯანმრთელობაზე. მიუხედავად იმისა მკურნალობთ თუ არა, მნიშვნელოვანია სისხლის ტესტების რეგულარული ჩატარება.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ტესტს უწოდებენ CD4 უჯრედების რაოდენობის განმსაზღვრელ ტესტს და მისი მიხედვით ხდება თქვენი იმუნური სისტემის სიძლიერის შეფასება. CD4 უჯრედების დაბალი რაოდენობა ნიშნავს, რომ თქვენს იმუნური სისტემას ასუსტებს აივი. CD4 უჯრედების მაღალი რაოდენობა კი ნიშნავს, რომ თქვენი იმუნური სისტემა უფრო ძლიერია.

არსებობს სხვა ტესტიც, რომელსაც ვირუსული დატვირთვის განმსაზღვრელ ტესტს უწოდებენ. იგი სისხლის ნიმუშში აივის რაოდენობას ზომავს. თუ თქვენ მკურნალობთ, ვირუსული დატვირთვის ტესტი აჩვენებს რამდენად ეფექტურია მკურნალობა - რაც ნაკლებია მაჩვენებელი, მით უკეთესია.

თქვენ სავარაუდოდ გეთხოვებათ ამ ტესტების რამდენიმე თვეში ერთხელ ჩატარება. ისინი დაგეხმარებათ თქვენ და თქვენს ექიმს თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობის და მკურნალობის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში.

აივ-ის მკურნალობა

აივ-ის მკურნალობა აჩერებს ვირუსის რეპროდუქციას და ამცირებს აივის რაოდენობას თქვენს ორგანიზმში.

რაც ნაკლებია ვირუსის რაოდენობა, მით ნაკლებად ზიანდება თქვენი იმუნური სისტემა და მით ნაკლებია ავადმყოფობის ალბათობა.

- რაც ნაკლებია აივის რაოდენობა თქვენი სხეულის სითხეებში, მით ნაკლებია იმის ალბათობა, რომ თქვენ გადასცემთ ვირუსს (მაგალითად სექსუალურ პარტნიორს ან ორსულობისას).

აივის მკურნალობის მიზანია - ვირუსული დატვირტის „არაგამოვლენადი“ დონის მიღწევა, რაც ნიშნავს ორგანიზმში აივ-ის ძალზე მცირე რაოდენობით არსებობას.

მაგრამ მედიკამენტების მეშვეობით არ ხდება განკურნება - მათ არ შეუძლიათ ბოლომდე განდევნონ ვირუსი თქვენი ორგანიზმიდან.

ყველას ვისაც აივი აქვს შეუძლია მიიღოს სარგებელი აივ-ის მკურნალობისგან. რაც უფრო მალე დაიწყებთ მკურნალობას, მით სწრაფად დაიცავთ საკუთარ თავს ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებულ სამომავლო პრობლემებისგან.

მაგრამ, მკურნალობა უნდა დაიწყოთ მხოლოდ მაშინ, როდესაც ამისათვის მზად ხართ. მიეცით საკუთარ თავს საკმარისი დრო, რომ განიხილოთ ყველა ვარიანტი და თავად მიიღოთ გადაწყვეტილება.



მკურნალობა

აივ-ის მკურნალობისას ჩვეულებრივ ხდება აბების მიღება ერთხელ ან ორჯერ დღეში. თქვენ სავარაუდოდ მოგიწევთ სამი ან ოთხი მედიკამენტის კომბინაციის მიღება - თითოეული სხვადასხვა გზებით მოქმედებს აივ-ზე და სათანადო მოქმედებისათვის საჭიროა მათი ერთდროულად მიღება.

ზოგჯერ ორი ან სამი მედიკამენტი კომბინირებულია ერთ აბში.

ზოგჯერ შესაძლოა მოხდეს მედიკამენტის დასახელების ან ფერის ცვლილება. ეს იგივე მედიკამენტი იქნება, ოღონდ სხვა მწარმოებლის მიერ გამოშვებული.

www.pro-vich.info და www.about-HIV.info შემუშავება შესაძლებელი გახდა იანსენისგან (Janssen) მიღებული გულუხვი დახმარების წყალობით. დამფინანსებელს აღარ განუხორციელებია კონტროლი საიტების შინაარსზე. ამ საიტზე მოცემული ინფორმაცია გამიზნულია სამედიცინო მუშაკისგან მიღებული კონსულტაციის მხარდაჭერისათვის და არა მისი ჩანაცვლებისათვის. გაესაუბრეთ თქვენს ექიმს ან სამედიცინო გუნდის რომელიმე წევრს მოცემული ინფორმაციის თქვენს კონკრეტულ შემთხვევასთან მისადაგების მიზნით.
თანამშრომლობა: NAM aidsmap, European AIDS Treatment Group, Aids Action Europe, East Europe & Central Asia Union of PLWH and ITPCru-ს (The Treatment Preparedness Coalition) შორის.

მეტი ინფორმაციისათვს ეწვიეთ: www.about-hiv.info; www.pro-vich.info; www.aidsmap.com
UK Charity რეგისტრაციის ნომერი: 1011220